აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა „საზოგადოებასთან ურთიერთობა“

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი
09.07.2020
დასკვნის წარდგენის თარიღი
24.08.2020

თბილისი
2020

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი** საჯარო სამართლია იურიდიული პირი

დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	211349192
დაწესებულების სახე	**უნივერსიტეტი**

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	საზოგადოებასთან ურთიერთობა Public Relation
განათლების საფეხური	სამაგისტრო
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	მაგისტრი საზოგადოებასთან ურთიერთობაში Master of Public Relations 0414
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	120 ECTS კრედიტი
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი)	აკრედიტირებული

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ლელა ფირალიშვილი, თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ქეთევან ქავთარაძე - დიჯიბი ჰოლდინგი
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნინო სიხარულიძე - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა „საზოგადოებასთან ურთიერთობა“ მომზადდა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე. უნივერსიტეტში ეს პროგრამა მუშაობდა, თუმცა ამჟამად იგი სრულიად გადახალისებულია და წარდგენილია აკრედიტაციის მოსაპოვებლად. საზოგადოებასთან ურთიერთობის მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია სტუდენტისათვის სფეროს ძირითადი თეორიებისა და მეთოდების, პიარ ღონისძიებების, პიარკომპანიების დაგეგმვა - განხორციელების სტრატეგიული და ტაქტიკური თავისებურებების, საზოგადოებრივი აზრის კვლევასა და ანალიზის ღრმა, სისტემური ცოდნის გადაცემა. მაგისტრანტების საზოგადოებრივი, აკადემიური თვითგანვითარებისა და თვითრეალიზაციის ხელშეწყობა.

დღეს შრომის ბაზარს რა თქმა უნდა ესაჭიროება საზოგადოებასთან ურთიერთობის პროფესიონალის სტანდარტის მქონე სპეციალისტები, როგორც PR, ასევე GR სფეროში, რომლებსაც უახლესი დროის სოციოკულტურული სივრცის ჩამოყალიბების პროცესში შესაბამისი პრაქტიკული უნარ-ჩვევების გარდა, სერიოზული თეორიული საბაზო განათლება სამოქალაქო ღირებულებათა ცოდნა აქვთ. ეს შესაძლოა როგორც პოლიტიკურ სფეროში, ასევე ბიზნეს საქმიანობაში დამსაქმებლისთვის დამატებითი მოტივაცია გახდეს ახალგაზრდა კადრის შერჩევისას.

სრული საბაკალავრო პროგრამული კურსი გათვლილია 2 აკადემიური წელზე (4 სემესტრი) პროგრამა შედგენილია ECTS სისტემით, 1 კრედიტი უდრის 25 საათს, რომელშიც იგულისხმება როგორც საკონტაქტო, ისე დამოუკიდებელი მუშაობის საათები. კრედიტები წარმოდგენილია სასწავლო გეგმაში. პროგრამა გრძელდება 2 წელი (4 სემესტრი) და მოიცავს 120 კრედიტს. სასწავლო კომპონენტი - 80 კრედიტი, კვლევითი - 40. ერთი სემესტრი მოიცავს 20 კვირას. სემესტრის მანძილზე სტუდენტი აბარებს ერთ შუასემესტრულ და ერთ დასკვნით გამოცდას. თითოეულ სემესტრში სტუდენტი აგროვებს 30 კრედიტს. საჭიროების შემთხვევაში მე-20 კვირა ეთმობა დამატებით გამოცდას. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს 15 კვირა. მე-17 კვირა ეთმობა თემატურ პროექტს და გამოცდისათვის მზადებას, მე-18 და მე-19 კვირას კი ტარდება დასკვნითი გამოცდა.
პროგრამა დასრულებულად ითვლება, როდესაც სტუდენტი დააგროვებს არანაკლებ 120 ECTS კრედიტს, რაც გულისხმობს პროგრამით გათვალისწინებული სფეროს ძირითადი, არჩევითი და თავისუფალი კომპონენტის შესრულებას.

პროგრამა ითვალისწინებს: სპეციალობის სავალდებულო და არჩევით 16 კურსს. კურსები ძირითადად 5 კრედიტიანია. არჩევითი კურსები წარმოდგენილია 16 სილაბუსის სახით.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

ვიზიტი განხორციელდა 2020 წლის 9 ივლისს. წინასწარ შეთანხმებული დღის განრიგის მიხედვით, ექსპერტთა ჯგუფის წევრები შეხვდნენ უნივერსიტეტის ადმინისტრაციას, პროგრამის თვითშეფასების ჯგუფს, პროგრამის ხელმძღვანელს, პროგრამის აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს, პროგრამის (საზოგადოებასთან ურთიერთობა) სტუდენტებსა და კურსამთავრებულებს, ასევე, პოტენციურ დამსაქმებლებს. ექსპერტთა ჯგუფმა დაათვალიერა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა, ბიბლიოთეკა, და კომპიუტერული კაბინეტი, რომელიც ძირითად ტექნიკურ ბაზას წარმოდგენს პროგრამისთვის. ბიბლიოთეკაში შემთხვევითი შერჩევის პრინციპით გადაამოწმა პროგრამის სილაბუსით გათვალისწინებული ლიტერატურა და საბიბლიოთეკო ბაზებთან ხელმისაწვდომობა.
ვიზიტის განმავლობაში ექსპერტთა ჯგუფმა ობიექტურად, მშვიდ და კოლეგიალურ გარემოში წარმართა მუშაობა; დასასრულს ტექნიკური უნივერსიტეტის ადმინისტრაციის წარმომადგენლებს წარუდგინა პროგრამის შესახებ მოცემულ ეტაპზე ჩამოყალიბებული ძირითადი მიგნებები.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

პირველი, მესამე, მეოთხე და მეხუთე სტანდარტები შესაბამისობაშია, მეორე სტანდარტი - მეტწილად შესაბამისობაში.

- **რეკომენდაციები**

  - რამდენადაც, (მესამე ბრძანების მიხედვით) სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის განმარტება ითვალისწინებს კვლევითი კომპონენტის შემდეგ მოაზრებას, -„სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი – (არის) მაგისტრატურის და დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის შემადგენელი ნაწილი, რომელიც წარმოდგენილია სამაგისტრო პროექტი/ნაშრომის, დისერტაციის ან

შემოქმედებითი/საშემსრულებლო ნამუშევრის ან სხვა სამეცნიერო პროექტის/ნაშრომის/აქტივობის სახით“. აუცილებელია, პროგრამის სტრუქტურა შეიცვალოს იმგვარად, რომ მოცემული სამეცნიერო კომპონენტის ნაწილი წარმოაგდენდეს სამაგისტრო ნაშრომის ნაწილს.

- პროგრამის კურიკულუმში თეორიული მასალა მეტად გაჯერდეს პრაქტიკული ქეისებით (სტუდენთა მოთხოვნის შესაბამისად)
- გამდიდრდეს თანამედროვე ლიტერატურით ძირითადი სავალდებულო სასწავლო კურსები, მით უმეტეს, რომ პროგრამა მოიცავს სილაბუსებს, რამდენიმე ევროპულ ენაზეც
- პროგრამა საჭიროებს დამსაქმებლებთან მჭირდო ურთიერთობას, სტუდენტებისა და კურსდამთავრებულებისთვის კარიერული განვითარების შესაძლებლობების შეთავაზებას. ამიტომ უნდა გაღრმავდეს ურთიერთობა პროგრამის განმახორციებლებსა და დამსაქმებლებს შორის.
- გააქტიურდეს პროგრამის აკადემიური/მოწვული პერსონალის ჩართვა სამეცნიერო კვლევით პროექტებში, მით უმეტეს რომ უნივერისტეტი ამის სრულ შესაძლებლობას იძლევა.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- რამდენადაც საზოგადოებასთან ურთიერთობის სამაგისტრო პროგრამა საკმაოდ მრავალფეროვანია და მოიცავს როგორც პოლიტიკურ, ასევე ბიზნეს PR-ს, კარგი იქნებოდა, თუ პროგრამა კონცენტრაციებად გადათამაშდებოდა. სასურველია პროგრამის ფარგლებში მოხდეს სტრუქტურული დივერსიფიკაცია და შესაძლოა უფრო ნათლად ვიწრო სპეციალიზაციის კუთხით ჩამოყალიბება.
- სასურველია, პროგრამის კურსებში გაკეთდეს აქცენტი საქართველოს ეკონომიკაში არსებულ ძირითადი ინდუსტრიებში საზოგადოებასთან ურთიერთობის კონკრეტულ მიმართულებებზე და გამოწვევებზე.
- სილაბუსები გამრავალფეროვნდეს პრაქტიკული, ე. წ. მიმდინარე „ქეისებით“
- სწავლების პროცესში გაძლიერდეს კვლევითი კომპონენტი. ვფიქრობთ, სასურველია საზოგადოებასთან ურთიერთობის სამაგისტრო პროგრამის კვლევითი კომპონენტის გაძლერებისათვის გაღრმავდეს კვლევითი სამუშაოები იმ ორგანიზაციებთან, სადაც მაგისტრანტები სტაჟირებასა და პრაქტიკას გადიან.

- პროგრამის ხარისხის განვითარებისთვის კარგი იქნება თუკი მოხდება მეტი დამსაქმებლის ჩართვა პროგრამის პრაქტიკულ ნაწილში.
- სასურველია, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება სტუდენტებს სთავაზობდეს კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებულ საკონსულტაციო მომსახურებას.
- სასურველია ტექნიკურმა უნივერსიტეტმა იმუშაოს გამოკითხვებისა და კვლევების თანამედროვე, ციფრულ მეთოდოლოგიაზე.
- სასურველია დაინერგოს სტუდენტთა ცოდნის შეფასებისა და სწავლების ორგანიზების ელექტრონული სისტემა. ელექტრონული სისტემა საშუალებას მისცემს ადმინისტრაციას აკონტროლოს სტუდენტთა აკადემიური მოსწრება, ხოლო სტუდენტებს მიაწვდის ინფორმაციას შეფასებებისა და საგანმანათლებლო პროცესის შესახებ. სტუდენტებისთვის სისტემაშივე მოხდება სიახლეების, ღონისძიებების, დასაქმების პროგრამებისა თუ სხვა მნიშვნელოვანი ინფორმაციის გაზიარება, მათ შორის ხარისხის კვლევების ანკეტების დაგზავნა. ელექტრონული სისტემა უზრუნველყოფს ინფორმაციის საჯაროობას და ხელმისაწვდომობას, და გაზრდის უნივერსიტეტის საინფორმაციო მოქნილობას.
- სასურველია კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლების ჩართულობა პროგრამის დაგეგმვის, განხორციელების, შემოწმებისა და რეაგირების ეტაპებზე.
- უცხოელ პარტნიორებთან პროგრამის დაახლოება და მათი კურუკულუმების შესწავლა არა მარტო დისტანციურად, არამედ უშუალო კონტაქტის მეშვეობითაც.

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. **საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა**

   პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი • სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის „საზოგადოებასთან ურთიერთობა“ მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას და ორიენტირებულია მოამზადოს თანამედროვე ინფორმაციული საზოგადოებისათვის კონკურენტუნარიანი, კვალიფიციური თეორეთიკოსი და პრაქტიკოსი საზოგადოებასთან ურთიეთობის სპეციალისტი, რომელსაც ექნება სამოქალაქო ღირებულებებზე დაფუძნებული თეორიული ცოდნა და თანამედროვე ინფორმაციულ კულტურაში, ბიზნესსა თუ მედია ინდუსტრიაში საქმიანობისთვის შესაბამისი პრაქტიკული უნარები, რომელიც მუშაობისას დაეყრდნობა პროფესიულ სტანდარტებს. • მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის ძირითადი მიზანია ისეთი საზოგადოებასთან ურთიერთობის პროფესიონალი სპეციალისტის მომზადება, რომელიც საფუძვლიანად ფლობს: ▪ საზოგადოებასთან ურთიერთობის ძირითად თეორიებს, მეთოდებს ▪ აქვს დარგში სისტემური ცოდნა ▪ შეუძლია პიარ კამპანიების სტრატეგიული დაგეგმვა და იმპლემენტირება სტრატეგიული და ტაქტიკური თავისებურებების გათვალისწინებით; ▪ ფლობს საზოგადოებრივი აზრის კვლევის მეთოდებს და შეუძლია კვლევის ანალიზი ▪ შეუძლია აკადემიური თვითგანვითარებისა და თვითრეალიზაციის უზრუნველყოფა ▪ მაგისტრანტის მიერ შეძენილი ცოდნა და განვითარების უნარები განაპირობებს სწავლის უმაღლეს საფეხურზე გაგრძელების და პროფესიული განვითარების შესაძლებლობებს პროგრამის მიზნები ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებსა და ტენდენციებს; უსდ-ს მიერ ჩატარებულმა დასაქმების ბაზრის კვლევამ და პოტენციურ დამსაქმებლებთან ინტერვიუმ აჩვენა ამ სფეროს მაღალკვალიფიციურ კურსდამთავრებულთა საჭიროება. პროგრამის მიზანი გაზიარებულია პროგრამაში ჩართული პირების მიერ.

საერთაშორისო თანამშრომლობისა და ინტერნაციონალიზაციის პროცესის ეფექტიანი წარმოებისათვის საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს აქვს ინტერნაციონალიზაციის სტრატეგია, რომლის ფარგლებში გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობითი ხელშეკრულებები მილანის პოლიტექნიკურ უნივერსიტეტთან და მილანის სასწავლო უნივერსიტეტთან. ინტერნაციონალიზაციის სტრატეგია ასევე პროგრამის განხორციელების დონეზე გამოიხატება სასწავლო კურსების უცხო ენაზე შეთავაზებით, უცხოელი პროფესორების მოწვევით და უცხოურ პარტნიორ უნივერსიტეტებში სტუდენტებისთვის გაცვლითი სემესტრის შეთავაზებით (ერასმუსის პროგრამა). მოცემულ მომენტში ერასმუსის პროგრამაში მონაწილეობს ოთხი სტუდენტი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ▪ პროგრამის მიზნები; ▪ საგანმანათლებლო პროგრამა „საზოგადოებასთან ურთიერთობა“ ▪ თვითშეფასების ანგარიში; ▪ სტუ-ს მისია, სტრატეგიული განვითარების გეგმა; ინტერნაციონალიზაციის სტრატეგია; ▪ შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი; ▪ უნივერსიტეტის ვებგვერდი http://www.gtu.ge. ▪ ინტერვიუს შედეგები ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელთან; თვითშეფასების ჯგუფთან .
რეკომენდაციები: o წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის o არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები
➢ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას; ➢ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს; ➢ შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

- ზოგადად, პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება საკვალიფიკაციო ჩარჩოს მიერ განსაზღვრულ, მე-6 დონის ცოდნას, უნარებსა და პასუხისმგებლობა/ავტონომიურობას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საზოგადოებასთან ურთიერთობის სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგები ნათლად არის ჩამოყალიბებული და თანხვედრაშია პროგრამის მიზნებთან. პსშ მოიცავს პროგრამის შინაარსით გათვალისწინებულ ძირითად ცოდნას, უნარებსა და პასუხისმგებლობებს.

პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს სამაგისტრო დონის ცოდნას, უნარებსა და პასუხისმგებლობა-ავტონომიურობას. სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურაში შემავალი სასწავლო კურსების ერთობლიობა და თემატური სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას.

სწავლის შედეგები არის გაზომვადი, მიღწევადი და რეალისტური. პროგრამის სტრუქტურაში შემავალი სასწავლო კურსების სილაბუსებში მკაფიოდ არის გამიჯნული თითოეული საგნის, სასწავლო დისციპლინის მიზანი და სწავლის შედეგები, რაც თავის მხრივ, უზრუნველყოფს ცოდნის, პრაქტიკული უნარებისა და პასუხისმგებლობა-ავტონომიურობის მკაფიოდ გამიჯვნას.

სწავლის შედეგების შეფასება ხდება თანმიმდევრულად და გამჭვირვალედ, რომელიც ითვალისწინებს დარგის სპეციფიკას და მოიცავს შეფასების ადეკვატურ ფორმებსა და მეთოდებს. საშუალებას იძლევა დადგინდეს, თუ რამდენად მიაღწიეს კურსდამთავრებულებმა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ შედეგებს. სწავლის შედეგების შეფასებისას გამოიყენება პირდაპირი და არაპირდაპირი შეფასების მეთოდი. პირდაპირი შეფასება მოცემულია სასწავლო კურსის პროგრამებში (სილაბუსებში). არაპირდაპირი შეფასება ხორციელდება სტუდენტების, დამსაქმებლების, აკადემიური პერსონალის და კურსდამთავრებულების გამოკითხვის, ფოკუს-ჯგუფებისადადაინტერესებულ პირებთან შედეგების ანალიზის საფუძველზე.

პროგრამის შემუშავებელმა ჯგუფმა შედეგების ფორმირებისას გაითვალისწინა საზოგადოებასთან ურთიერთობის, სოციოლოგიური კვლევების, ბიზნეს კომუნიკაციების, ინტეგრირებული მარკეტინგული და პიარ კომუნიკაციების სწავლების მეთოდოლოგიები, და შეფასების სისტემა; მატერიალური და ადამიანური რესურსი; პროგრამის სწავლის შედეგების რუკა

ლოგიკურია და ითვალისწინებს სასწავლო კურსების კავშირს სწავლის შედეგებთან.

პროგრამის შედეგები ითვალისწინებს დასაქმებისა და შრომის ბაზრის მოთხოვნებს. პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტს აქვს საზოგადოებასთან ურთიერთობების ტექნოლოგიების ღრმა, საფუძვლიანი, სისტემური ცოდნა და პროფესიული უნარ-ჩვევები. ამასთან აქვს საკმარისი კომპეტენცია იმისათვის, რომ სრულფასოვნად ჩაერთოს საზგადოებრივ ცხოვრებაში, როგორც მაღალი კლასის პროფესიონალი.

საგანმანათლებლო პროგრამას განსაზღვრული აქვს პროგრამის სწავლის შედეგების (პსშ) შეფასების მექანიზმი. პსშ შემუშავებულია დარგობრივი მახასიათებლისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სფეროს აუცილებელი კომპეტენციების გათვალისწინებით. პსშ წარმოადგენს ცოდნას, უნარებსა და კომპეტენციებს, რაც ექნება საზოგადოებასთან ურთიერთობის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულს.

სწავლის შედეგების შეფასება ხდება თანმიმდევრულად და გამჭვირვალედ. პროგრამას შემუშვებული აქვს კურიკულუმის რუკა; პროგრამის სწავლის შედეგების (პსშ) შეფასების გეგმა, სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგის დებულება; სასწავლო კურსებისა და პროგრამის სწავლის შედეგების რუკა, რომელშიც ასახულია თუ რომელი სასწავლო კურსის ფორმატში ხდება პროგრამის სწავლის თითოეული შედეგის მიღწევა.

პროგრამის აკადემიური და მოწვეული პერსონალი იცნობს სწავლის შედეგების შეფასების მეთოდებს, რაც დასტურდება ინტერვიუს სესიებით. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სწავლის შედეგების შეფასების მიზნით, განხორციელდა საზოგადოებასთან ურთიერთობის წინმსწრები სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგების ანალიზი, რამაც გვიჩვენა, რომ პროგრამაზე ჩარიცხულ სტუდენტთა მიღწევები ძირითადად ძალიან კარგია (ბოლო 5 წლის მონაცემით):

პროგრამა განახლებულია, შესაბამისად, ჯერ ვერ მოხდებოდა პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მონაცემების შედარება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები

- თვითშეფასების დოკუმენტი
- საგანმანათლებლო პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი
- შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზის დოკუმენტი
- განხორციელებული შეფასების შედეგები
- უსდ-ის მიერ ჩატარებული სტუდენტთა/კურსდამთავრებულთა/დამსაქმებელთა/პერსონალის გამოკითხვის ფორმები, გამოკითხვის შედეგები და მათი გამოყენება

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
- o

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	V			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.
• საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას; გაწერილია სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში, განთავსებულია ვებ-გვერდზე და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული მხარისათვის; • სამაგისტრო პროგრამაზე სტუდენტთა ჩარიცხვა ხორციელდება ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების ან საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №224/ნ (2011 წლის 29 დეკემბერი) ბრძანების შესაბამისად, ასევე შიდა გამოცდის ჩაბარების საფუძველზე. • უნივერსიტეტის საიტზე ასევე საჯაროდ გამოქვეყნებულია წინაპირობით განსაზღვრული სავალდებულო პროფესიულ-დარგობრივი ტესტების ნიმუშები, რომელთა წარმატებით ჩაბარების საფუძველზე ხდება პროგრამაზე ჩარიცხვა. ტესტი ითვალისწინებს პროგრამის სპეციფიკას, უზრუნველყოფს პროგრამის დასაძლევად აუცილებელი ცოდნის, პრაქტიკული უნარებისა და კომპეტენციის მქონე პირების პროგრამაზე სწავლება-სწავლის ჩართვას. • ტესტს მოჰყვება რეკომენდირებული ლიტერატურის ჩამონათვალი, სადაც კანდიდატებს შეუძლიათ გაეცნონ ტესტში მოცემულ საკითხებზე ინფორმაციას. შიდა გამოცდის დარგობრივი ტესტი შედგება 100 დახურული კითხვისგან. ტესტის კითხვები ეხება PR-ის არსს და მიზნებს, ტერმინების განმარტებას და სხვა თეორიებს. გამოცდის წარმატებით ჩასაბარებლად კანდიდატმა მინიმუმ 51 კითხვაზე უნდა გასცეს სწორი პასუხი. ▪ მთლიანობაში, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები გამჭვირვალე, საჯარო და ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.

- **პროგრამებზე ჩარიცხვის შესახებ ინფორმაცია** ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირებისათვის, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებ-გვერდის მეშვეობით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დებულება
- სამაგისტრო დებულება
- საზოგადოებასთან ურთიერთობის სამაგისტრო პროგრამა
- თვითშეფასების ანგარიში და თანდართული დოკუმენტაცია
- უნივერსიტეტის ვებგვერდი https://gtu.ge/
- ინტერვიუს შედეგები უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელთან.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამაგისტრო პროგრამა შედგენილია ECTS სისტემით, "პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასების და განვითარების წესის" მიხედვით. პროგრამის სტრუქტურაში გათვალისწინებულია პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, მიღების წესი და სწავლის შედეგები.

პროგრამა გრძელდება 2 წელი და მოიცავს 120 კრედიტს რომელიც შედგება სასწავლო (80 კრედიტი) და კვლევითი (40 კრედიტი) კომპონენტისაგან. ერთი სემესტრი მოიცავს 20 კვირას. სემესტრის მანძილზე სტუდენტი აბარებს ერთ შუასემესტრულ და ერთ დასკვნით გამოცდას. თითოეულ სემესტრში სტუდენტი აგროვებს 30 კრედიტს. საჭიროების შემთხვევაში მე-20 კვირა ეთმობა დამატებით გამოცდას. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს 15 კვირა. მე-16 მე-17

კვირა ეთმობა თემატურ პროექტს და გამოცდისათვის მზადებას, მე-18 და მე-19 კვირას ტარდება დასკვნითი გამოცდა. სავალდებულო საგნების გარდა პროგრამა სტუდენტებს სთავაზობს ისეთ შერჩევით საგნებს, რომლებიც სტუდენტებს დაანახებს საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალობის ქვეყნის ეკონომიკაში ფართო გამოყენებას.

მიღების წინაპირობებიდან გამომდინარე, სამაგისტრო პროგრამაზე სწავლის გაგრძელება შეუძლია ბაკალავრიატის ნებისმიერი მიმართულების კურსდამთავრებულს. ამის გამო პროგრამა მოიცავს როგორც ზოგად, შესავალ კურსებს, ასევე ცოდნის გაღრმავებაზე ორიენტირებულ კურსებს.

სასწავლო კურსები სამი სემესტრის განმავლობაში დაგეგმილია თანმიმდევრულად. პირველი სემესტრი მოიცავს 16 ძირითად და არჩევით კურსს, მათგან სავალდებულო კურსები იძლევა ფუნდამენტს, რომ მაგისტრანტმა ამ საგნებზე დაყრდნობით გააგრძელოს სწავლა ისე, რომ სწავლების შემდეგი საფეხურები მისთვის პრობლემას აღარ წარმოადგენდეს.

მნიშვნელოვანია, აღინიშნოს, რომ (მესამე ბრძანების მიხედვით) სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის განმარტების შესბამისად,

„სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი არის მაგისტრატურის და დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის შემადგენელი ნაწილი, რომელიც წარმოდგენილია სამაგისტრო პროექტი/ნაშრომის, დისერტაციის ან შემოქმედებითი/საშემსრულებლო ნამუშევრის ან სხვა სამეცნიერო პროექტის/ნაშრომის/აქტივობის სახით“. თუმცა სასწავლო პროგრამის სტრუქტურაში „მესამე სემესტრში გაივლიან ერთ 10 კრედიტიან კვლევით კომპონენტს: თეორიულ/ ექსპერიმენტულ კვლევა/ კოლოკვიუმს. მეოთხე სემესტრი მთლიანად ეთმობა სამაგისტრო ნაშრომის დასრულება და დაცვას (30 კრედიტი).“

შესაბამისად, ჩნდება კითხვა, რამდენად არის მოცემული საკითხი სამეცნიერო კომპონენტის ნაწილი, როდესაც ის არ წარმოადგენს სამაგისტრო ნაშრომის ნაწილს. ამდენად, ეს სტრუქტურული გაუმართავობა კორექტირებას საჭიროებს.

პროგრამის სასარგებლოდ უნდა ითქვას, რომ პირველი სემესტრის ბიზნესკომუნიკაციის სავალდებულო საგნიდან სტუდენტს აქვს საშუალება აირჩიოს სასურველი ენა (ინგლისური, გერმანული, ფრანგული) რაც საშუალებას აძლებს საგნობრივი ცნებითი აპარატის უცხო ენაზე ათვისებაში. ეს უადვილებს მას შემდეგ სემესტრებში დასავლურ პროფესიულ ლიტერატურასთან წვდომას.

პროგრამაში შემავალი სასწავლო და პრაქტიკული კომპონენტები ძირითადად თანმიმდევრულად, ლოგიკურადაა დალაგებული და უზრუნველყოფს ცოდნის

გამდიდრებას მეთოდურად, ორი წლის განმალობაში. საგნების შეთავაზება სემესტრულად ლოგიკურია და ითვალისწინებს წინა სალექციო კურსებზე მიღწეულ შედეგებს. ლოგიკურია, პრაქტიკული საზრისის მქონე ძირითადი თუ არჩევითი საგნების შეთავაზების თანმიმდევრულობაც.
საზოგადოებასთან ურთიერთობის პროგრამის განვითარებისთვის უნივერსიტეტი პერიოდულად ატარებს დაინტერესებული მხარეების (სტუდენტები, კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები, აკადემიური პერსონალი) კვლევას. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს დარგის უახლეს მიღწევებს, კერძოდ, თითოეული საგნის სილაბუსის ფარგლებში მითითებული დამხმარე და ძირითადი ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა დარგში არსებულ უახლოეს კვლევებსა და წყაროებს ეყრდნობა.

სტუდენტი პროგრამის ფარგლებში ეუფლება საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალობის ზოგად უნარ-ჩვევებს, სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობის დროს ახდენს განხორციელებული კვლევის შედეგებისა და მონაცემების დამუშავებასა და ანალიზს, რაც შემდგომში მას დაეხმარება თეორიული ცოდნის პროფესიით დასაქმების შემთხვევაში სამუშაო ადგილზე შეძენილი უნარების გამოყენებაში.
პროგრამის სტრუქტურა და თემატური მრავალფეროვნება იძლევა იმის საშუალებას, რომ პროგრამაში გამოიყოს კონცენტრაციები, რომელშიც აქცენტი გაკეთდება PR-ის პროგრამის სხვადასხვა მიმართულებაზე - ბიზნეს PR-ზე, GR-ზე - სახელმწიფო პიარზე. ეს პედაგოგებსაც გაუადვილებს სილაბუბების სასწავლო მასალის სტრუქტურასაც და უფრო ხელმისაწვდომს გახდის ლექციებისთვის უახლესი მასალის თვალსაჩინოებისთვის ლექციაზე დარჩეს მეტი დრო.
პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია, პროგრამა თავისი შინაარსითა და სტრუქტურით, უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. პროგრამის შინაარსი, მოცულობა და კომპლექსურობა შეესაბამება სწავლების საფეხურს. პროგრამა აგებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემის შესაბამისად. პროგრამა შესაბამისობაშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში

- სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- სილაბუსები;
- კურიკულუმის რუკა;
- სამაგისტრო პროგრამით ზოგადი კმაყოფილების ანგარიში
- პროგრამის შემუშავებაში ჩართული დაინტერესებული პირების მონაწილეობის მტკიცებულებები;
- შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი;
- ინტერვიუს შედეგები კურსდამთავრებულებთან, დამსაქმებლებთან, პროგრამის ხელმძღვანელთან; აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან

რეკომენდაციები:

რამდენადაც, (მესამე ბრძანების მიხედვით) სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის განმარტება ითვალისწინებს კვლევითი კომპონენტის შემდეგ მოაზრებას, - „სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი – (არის) მაგისტრატურის და დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის შემადგენელი ნაწილი, რომელიც წარმოდგენილია სამაგისტრო პროექტი/ნაშრომის, დისერტაციის ან შემოქმედებითი/საშემსრულებლო ნამუშევრის ან სხვა სამეცნიერო პროექტის/ნაშრომის/აქტივობის სახით“. აუცილებელია, პროგრამის სტრუქტურა შეიცვალოს იმგვარად, რომ მოცემული სამეცნიერო კომპონენტის ნაწილი წარმოაგდენდეს სამაგისტრო ნაშრომის ნაწილს.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შრომის ბაზარზე ბოლო 5 წლის დინამიკა აჩვენებს, რომ საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტებზე მოთხოვნა შრომის ბაზარზე ყოველდღიურად მზარდია, ისევე როგორც მზარდია კონკურენცია პოტენციურ დასაქმებულებს შორის. შესაბამისად კონკრეტული უნარ-ჩვევები სპეციალიზაციის მიმართულებით შესაძლოა პროგრამის კურსდამთავრებულისთვის გახდეს დამატებითი კონკურენტული უპირატესობა. მაგალითად, საცალო გაყიდვებში არსებული დამსაქმებლის მხრიდან საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტის რეზიუმესთან ერთად თუ დამსაქმებელი განიხილავს სპეციალიტს კონკრეტულად საცალო ვაჭრობის კუთხით ვიწრო სპეცილისტის უნარებით, ეს შეიძლება გადამწყვეტი აღმოჩნდეს მისი სამსახურში აყვანის დროს. შესაბამისად, სასურველია, პროგრამის კურსებში გაკეთდეს აქცენტი საქართველოს

ეკონომიკაში არსებულ ძირითადი ინდუსტრიებში საზოგადოებასთან ურთიერთობის კონკრეტულ მიმართულებებზე და გამოწვევებზე.

ასევე, სასურველია, პროგრამის ფარგლებში მოხდეს სტრუქტურული დივერსიფიკაცია და შესაძლოა უფრო ნათლად ვიწრო სპეციალიზაციის კუთხით ჩამოყალიბება (შესაძლოა, კონცენტრაციებად ქცევა) კონკრეტული მიმართულებების მიხედვით როგორიცაა: საზოგადოებასთან ურთიერთობა კერძო სექტორში, საზოგადოებასთან ურთიერთობა სახელმწიფო სტრუქტურებში, საზოგადოებასთან ურთიერთობა არასამთავრობო ორგანიზაციებში, საზოგადოებასთან ურთიერთობა სპორტსა და კულტურაში.

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი
➢ ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს; ➢ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში შეთავაზებული ძირითადი სასწავლო კურსების სწავლის შედეგების ერთობლიობა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას, რაც დასტურდება საზოგადოებასთან ურთიერთობის სამაგისტრო სასწავლო პროგრამის სწავლის შედეგების სასწავლო კურსების სწავლის შედეგებთან შესაბამისობის რუქით. პროგრამით გათვალისწინებული ძირითადი და არჩევითი სასწავლო კურსები ძირითადად 5 კრედიტიანია. თუმცა, საკონტაქტო და არასაკონტაქტო საათები, ასევე, სტუდენტის სასწავლო დატვირთვა განსხვავებულია დისციპლინების სპეციფიკურობიდან გამომდინარე. სასწავლო კურსის ფარგლებში გამოსაყენებული სწავლა-სწავლების მეთოდები რელევანტურია. პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსების შინაარსი და კრედიტების რაოდენობა (საკონტაქტო და დამოუკიდებელი დრო) უზრუნველყოფს მათი სწავლის შედეგებს. თითოეული სასწავლო კურსის კრედიტების რაოდენობა გამოთვლილია მისი სპეციფიკის, თავისებურებებისა და სტუდენტთა დატვირთვის მოცულობის გათვალისწინებით. პროგრამის სასწავლო კურსებში თითოეული სწავლის შედეგის მიღწევა ფასდება შეფასების ადექვატური სისტემით. საზოგადოებასთან ურთიერთობის სამაგისტრო პროგრამის კურსების სწავლის შედეგები თანხვედრაშია პროგრამის სწავლის შედეგებთან. პროგრამის სასწავლო კურსების შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს. რაც შეეხება სილაბუსებში მითითებულ სასწავლო მასალას, ისინი დაფუძნებულია დარგში არსებულ აქტუალურ მიღწევებზე. აკადემიურ პერსონალთან ინტერვიუს პროცესში აღინიშნა, რომ შესაძლოა ერთ თემას სხვადასხვა საგანი განსხვავებული

კუთხით განიხილავდეს და ფარავდეს, რაც განაპირობებს სტუდენტის მხრიდან საკითხის სიღრმისეულ ანალიზს. თუმცა, სილაბუსებში მასალის გადაფარვას რომ ავარიდოთ თავი, და სილაბუსები მეტად დაიტვირთოს აქტუალური, მიმდინარე მასალითა და „ქეისებით“, სასურველი იქნება, მომავალში პროგრამის შიდა სტრუქტურა დალაგდეს ისე, რომ თემატური აქცენტები უფრო თვალსაჩინო გახდეს. მნიშვნელოვანია, სწავლის პროცესში შესაძლებლობის ფარგლებში გაძლიერდეს კვლევითი კომპონენტი. სამაგისტრო ნაშრომების გაცნობისას კვლევითი კომპონენტის გაძლიერების საჭიროება აშკარად იკითხება.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ➢ საგანმანათლებლო პროგრამა; ➢ სილაბუსები; ➢ ინტერვიუს შედეგები პროგრამის ხელძღვანელთან, აკადემიიურ და მოწვეულ პერსონალთან;
რეკომენდაციები: • პროგრამის კურუკულუმიში თეორიული მასალა მეტად გაჯერდეს პრაქტიკული ქეისებით (სტუდენთა მოთხოვნის შესაბამისად) • გამდიდრდეს თანამედროვე ლიტერატურით ძირითადი სავალდებულო სასწავლო კურსები, მით უმეტეს, რომ პროგრამა მოიცავს სილაბუსებს, რამდენიმე ევროპულ ენაზეც
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის • სილაბუსები გამრავალფეროვნდეს პრაქტიკული, ე. წ. მიმდინარე „ქეისებით“ • სწავლების პროცესში გაძლიერდეს კვლევითი კომპონენტი
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) o
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება
პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: პროგრამა ითვალისწინებს პრაქტიკული უნარების განვითარებას. სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ გაიარონ პრაქტიკა დამსაქმებლებთან, რომელთანაც უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი. მემორანდუმი ითვალისწინებს სტუდენტთა რაოდენობას. თუმცა, მიუხედავად

ამისა, უმჯობესი იქნება, თუ ამ მიზნით გაფორმდება უფრო მეტი მემორანდუმი განსხვავებულ ორგანიზაციებთან, რადგან სტუდენტებს ჰქონდეთ არჩევანის საშუალება.

ინტერვიუს დროს მობილობით გადმოსულმა სტუდენტმა აღნიშნა, რომ საზოგადოებასთან ურთიერთობის სამაგისტრო პროგრამამ იგი უზრუნველყო ტექნიკური რესურსით, რაც დაეხმარა მას პრაქტიკული უნარების განვითარებაში.

სტუდენტებითვის სასწავლებლის გარეთ დანერგილი გარე სტაჟირება საბოლოოდ კრავს და ამთლიანებს იმ ცოდნას, უნარებსა და გამოცდილებას, რომელსაც სტუდენტი დაეუფლა თეორიული კურსებისა და კურსებში ჩაშენებული პრაქტიკის გავლის პერიოდში.

თვითშეფასების ჯგუფისა და პოტენციურ დამსაქმებლებთან ინტერვიუს სესიებით დასტურდება, რომ პროგრამას ჰყავს პერსპექტიული დამსაქმებლები, რომლებიც მზად არიან გრძელვადიან პერიოდში საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩოებში ითანამშრომლონ უნივერსიტეტთან.

მნიშვნელოვანია, რომ აკადემიური და მოწვეული პერსონალის ნაწილი თავად საქმიანობს კვლევის მიმართულებით და სტუდენტების ჩართულობა მათ მუშაობაში მიღებული პრაქტიკაა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში
- სილაბუსი
- სტუდენტური კონფერენციები და დამადასტურებელი დოკუმენტაცია და ფოტომასალა;
- მედია ლაბორატორიის ვიზუალური დათვალიერება;
- შესაბამისი ხელშეკრულებები/მემორანდუმები პერსპექტიულ დამსაქმებლებთან ;
- ინტერვიუს შედეგები პროგრამის და მედიალაბორატორიის პედაგოგებთან, პრაქტიკის ხელმძღვანელთან.

რეკომენდაციები:

- პროგრამა საჭიროებს დამსაქმებლებთან მჭირდო ურთიერთობას, სტუდენტებისა და კურსდამთავრებულებისთვის კარიერული განვითარების შესაძლებლობების შეთავაზებას.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

ვფიქრობთ, სასურველია საზოგადოებასთან ურთიერთობის სამაგისტრო პროგრამის კვლევითი კომპონენტის გაძლერებისათვის გაღრმავდეს კვლევითი სამუშაოები იმ ორგანიზაციებთან, სადაც მაგისტრანტები სტაჟირებასა და პრაქტიკას გადიან.

დამსაქმებლებთან შეხვედრის დროს გამოიკვეთა, რომ პროგრამის ხარისხის განვითარებისთვის კარგი იქნება თუკი მოხდება მეტი დამსაქმებლის ჩართვა პროგრამის პრაქტიკულ ნაწილში. ამ ეტაპზე პროგრამის განვითარებაში სხვადასხვა ინდუსტრიიდან ჩართულია 6 დამსაქმებელი, თუმცა პროგრამის ქვეყნის ეკონომიკისთვის ფართო გამოყენების არეალიდან გამომდინარე კარგი იქნება თუკი უნივერსიტეტი დააორგანიზებს და მოახდენს სხვადასხვა ინდუსტრიაში არსებული წამყვანი კომპანიების დაინტერესებასა და მოწვევას სტუდენტებთან საჯარო დისკუსიებზე, მასტერ კლასებსა თუ ე.წ. „ვორქშოპებზე“.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

- გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სააგანმანათლებლო პროგრამის თითეული სასწავლო კურსის სილაბუსში დეტალურადაა გაწერილი სწავლება-სწავლის ფორმები და მეთოდები, რომლებიც სრულ შესაბამისობაშია უმაღლესი განათლების სამაგისტრო საფეხურთან და კურსის შინაარსთან, რაც უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას.

წარმოდგენილი სამაგისტრო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსები როგორც ლექციებითა და ჯგუფში მუშაობით, ასევე, პრაქტიკული "ქეისებითაც" ხორციელდება.

პროგრამის სხვადასხვა კომპონენტში გამოყენებული სწავლება-სწავლის მეთოდების ერთობლიობა უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. სწავლების პროცესში რომელიმე კონკრეტული საკითხის შესწავლა შეუძლებელია მხოლოდ ერთი მეთოდით. ლექტორს სწავლების პროცესში უხდება სხვადასხვა მეთოდის გამოყენება, ასევე, ხშირ შემთხვევაში ადგილი აქვს მეთოდთა შერწყმას. სწავლების პროცესში მეთოდები ერთმანეთს ავსებს. მათგან საჭირო მეთოდს, კონკრეტული მიზნიდან და ამოცანიდან გამომდინარე, ირჩევს ლექტორი.

სილაბუსებით და ინტერვიუებით დასტურდება, რომ სწავლების პროცესში შესაძლებელია ამა თუ იმ მეთოდისთვის პრიორიტეტის მინიჭება სასწავლო კურსის სპეციფიკიდან და თავისებურებებიდან გამომდინარე, რადგან სწავლებისას გამოყენებული მეთოდების შერჩევა მიმართულია სწავლების აქტივიზებაზე, შემეცნებითი საქმიანობის განვითარებაზე და სტიმულირებაზე, სასწავლო პროცესში სტუდენტთა აქტიურ მონაწილეობაზე.

ინტერვიუებზე პედაგოგებთან და სტუდენთებთან დასტურდება სწავლა-სწავლების კომპლექსური მეთოდების გამოყენება.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ▪ საგანმანათლებლო პროგრამა ▪ სილაბუსები ▪ სწავლება-სწავლის მეთოდები ▪ ინტერვიუს სედეგები აკად/მოწვეულ პერსონალთან
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) o
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის განხორციელებისა და სასწავლო დისციპლინების სწავლებისას, თითოეულ დისციპლინაში სტუდენტის მოსწრება ფასდება კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემისა (ECTS) და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის“ შესაბამისი შეფასების სისტემით. თითოეული საგნის შეფასების მექანიზმი დივერსიფიცირებულია კურსების თემატიკის მიხედვით.

სამაგისტრო ნაშრომის შეფასება მოიცავს რამდენიმე კომპონენტს და გაწერილია

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დებულება მაგისტრატურის შესახებ ვებ-გვერდზე (http://gtu.ge/pdf/magistraturis_shesaxeb_debuleba_2019.pdf) ცალკეა გაწერილი შეფასების წესები, როგორც თეორიული მასალის, ასევე კვლევითი კომპონენტისა და ნაშრომის პრეზენტირების შესახებ: მაგისტრატურის საგანმანათლებლო კვლევითი კომპონენტის შეფასების წესი (https://gtu.ge/pdf/magistraturis_debuleba_danarTi_4_2019.pdf); მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი ნაშრომის გაფორმების ინსტრუქცია: (http://gtu.ge/pdf/magistraturis_debuleba_danarti_5.pdf); მაგისტრანტის პერსონალური სამუშაო გეგმა: (https://gtu.ge/pdf/magistraturis_debuleba_danarTi_3_2019.pdf)

ცოდნის შეფასების ფორმები და კრიტერიუმები სამართლიანად გამოიყენება ყველა სტუდენტის მიმართ და გამჭვირვალეა. შეფასების კომპონენტები და მათი ხვედრითი წილი ასახულია სასწავლო კურსის სილაბუსებში და ხელმისაწვდომია სტუდენტებისათვის. თითოეული სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე

შეფასების კომპონენტების შინაარსი და მეთოდები განსხვავებულია და შეესაბამება კურსის შედეგებს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები o საზოგადოებასთან ურთიერთობის სასწავლო კურსების სილაბუსები. o საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დებულება, http://social.gtu.ge/uploads/files/debuleba/fakultetis_debuleba.pdf o ინტერვიუს შედეგები აკადემიურ/ მოწვეულ პერსონალთან .
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) o
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		✓		

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უპირველეს ყოვლისა აღსანიშნავია, რომ სტუდენტთა უნივერსიტეტთან ურთიერთობა რეგულირებულია უნივერსიტეტის დონეზე შესაბამისი დოკუმენტებით. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი განსაზღვრავს სტუდენტთა უფლებებს და მოვალეობებს სწავლა-სწავლების პროცესში. უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ვიზიტის დროს განხორციელებულ ინტერვიუბზე დაყრდნობით ჩანს, რომ მოცემული სტანდარტის კომპონენტი შესაბამისობასია მოთხოვნებთან.

ინტერვიუებში მონაწილეობდნენ სტუდენტები და კურსდამთავრებულები. მათ დაადასტურეს, რომ სტუდენტები და კურსდამთავრებულები პროგრამის შემუშავების პროცესში აქტიურად იყვნენ ჩართულები, ინტერვიუების დროს გამოიკვეთა, რომ სტუდენტებსა და უნივერსიტეტის ადმინისტრაციას შორის კომუნიკაცია ძალიან მარტივად ხორციელდება. ადმინისტრაცია ცდილობს სტუდენტებს დახმარება გაუწიოს სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ საკითხების მოგვარებაში. სტუდენტს საშუალება აქვს სემესტრის დასაწყისიდან, მისი მსვლელობისას და დასრულების შემდეგ თვალი ადევნოს მის აკადემიურ მოსწრებას და გაეცნოს კურსების სილაბუსებს. უნივერსიტეტი სტუდენტებს სთავაზობს მთლიანად მათზე მორგებულ სასწავლო განრიგს.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის მიზნით წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშზე, სხვა დოკუმენტაციასა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით დასტურდება, რომ სტუდენტები სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე კონსულტაციას იღებენ ადმინისტრაციისა და აკადემიური პერსონალისგან. დასაქმებისა და კარიერული განვითარებასთან დაკავშირებული სერვისების შესახებ სტუდენტებს და კურსდამთავრებულებს ნაკლებად აქვთ ინფორმაცია.

აკრედიტაციის სტანდარტების მოთხოვნებიდან გამომდინარე, სასურველია, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება სტუდენტებს სთავაზობდეს კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებულ საკონსულტაციო მომსახურებასაც.

სააკრედიტაციო ვიზიტისას უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და მიღებული ინფორმაციის საფუძველზე გამოიკვეთა, რომ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამაგისტრო პროგრამის სტუდენტები სასწავლო პროცესთან და სხვადასხვა სახის ღონისძიებებთან დაკავშირებით ინფორმაციას იღებენ სოციალური ქსელებისა და

ვებ გვერდის საშუალებით. ამასთან, კონსულტაციების და დახმარების მიღება სტუდენტს ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე შეუძლია ფაკულტეტის აკადემიური პერსონალისგან. თუმცა, სტუდენტებს არ აქვთ ზუსტი ინფორმაცია რომელ სტრუქტურულ ერთეულს უნდა მიმართონ კარიერული განვითარებისა და დასაქმების, გაცვლითი პროგრამებისა და სხვადასხვა ღონისძიებების შესახებ ინფორმაციის ან/და კონსულტაციის მისაღებად. ასევე არ ფლობენ ინფორმაციას ელექტრონული სივრცისა ან კონკრეტული სტრუქტურული ერთეულის შესახებ, სადაც მათთვის საჭირო ინფორმაცია კონცენტრირდება.

მიუხედავად რამდენიმე ორგანიზაციასა და კომპანიასთან მჭიდრო თანამშრომლობისა და არსებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმებისა, პროგრამის ფარგლებში დასახვეწია კარიერული განვითარების სერვისები, რომლის საშუალებითაც მოხდება დამსაქმებელთა წრის გაფართოება და გამრავალფეროვნება.

აღსანიშნია კურსდამთავრებულთა საუნივერსიტეტო ცხოვრებაში მონაწილეობის ნაკლებობაც, რაც მაგისტრანტთა დროის ნაკლებობით (მათი უმრავლესობა თან მუშაობს) და შესაბამისი სერვისების ნაკლებობით აიხსნება.

სტუდენტებისა და კურსდამთავრებულებისთვის საინფორმაციო, საკონსულტაციო და კარიერული სერვისები გასაძლიერებელია. პროგრამა საჭიროებს დამსაქმებლებთან მჭირდო ურთიერთობას, სტუდენტებისა და კურსდამთავრებულებისთვის კარიერული განვითარების შესაძლებლობების შეთავაზებას, მექანიზმს, რომელიც თანაბრად უზრუნველყოფს სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების საუნივერსიტეტო ცხოვრებაში ჩართვას და სტუდენტური ღონისძიებების გამრავალფეროვნებას, რომელიც გათვლილი იქნება მათ ინტერესებზე.

სტუდენტებმა ასევე დაადასტურეს, რომ აკადემიური პერსონალი კურსის დასაწყისში დეტალურად აცნობს მათ სასწავლო კურსის სილაბუსს, სწავლის მიზნებს, შედეგებს, შინაარს, შეფასების სისტემას. მათ იციან, რომ აქვთ საკონსულტაციო საათით სარგებლობის უფლება, და ისინი ხშირად იყენებენ აღნიშნულ მექანიზმს.

ზოგადად, სტუდენტები აღნიშნავენ რომ უნივერსიტეტში და კერძოდ, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში შექმნილია სტუდენტებისადმი უაღრესად კეთილგანწყობილი გარემო. ამ პროგრამის რეპუტაცია და აკადემიური პერსონალის დამოკიდებულება, მათ დაასახელეს როგორც გადამწყვეტი ფაქტორი უნივერსიტეტის შერჩევის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები ▪ თვითშეფასების ანგარიში ▪ ინტერვიუს შედეგები ▪ ვებ-გვერდი ▪ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები ▪ დამსაქმებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები; ▪ უსდ-ის მიერ ჩატარებული გამოკითხვის შედეგები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის სტუდენტებისა და კურსდამთავრებულებისთვის კარიერულ განვითარებასთან სერვისები გასაძლიერებელია. სასურველია, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება სტუდენტებს სთავაზობდეს კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებულ საკონსულტაციო მომსახურებას.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ▪ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ▪ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ▪ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ▪ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა
მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამაგისტრო პროგრამის მაგისტრანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელები, რომლებიც ეწევიან ინდივიადუალურ მუშაობას თითეოულ

კანდიდატთან და უწევენ კვალიფიციურ ხელმძღვანელობას. სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობა მოიცავს სტუდენტის მხრიდან დამოუკიდებელ მეცადინეობას, ნაშრომის მომზადებას, ნაშრომის ხელმძღვანელთან სამაგისტრო ნაშრომის მომზადებასთან დაკავშირებულ მუშაობას, სამაგისტრო ნაშრომის საჯარო დაცვისთვის მომზადებას და სამაგისტრო ნაშრომის საჯარო დაცვას.

მაგისტრანტის ხელმძღვანელი უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი ან მოწვეული სპეციალისტია. ხელმძღვანელი ფლობს დოქტორის ხარისხს ან გააჩნია თემასთან დაკავშირებით განსაკუთრებული გამოცდილება, რასაც მოწმობს შესაბამისი პუბლიკაციები. ხელმძღვანელი კონტროლს უწევს მაგისტრანტის მიერ კვლევითი კომპონენტის შესრულებას. ხელმძღვანელთან ერთად მაგისტრანტს შეიძლება ჰყავდეს თანახელმძღვანელი, რომელიც უწევს კონსულტაციებს და ეხმარება მუშაობის პროცესში. საბოლოოდ, ხელმძღვანელი აფასებს მაგისტრანტის მიღწევებს და წარმოადგენს მას დასკვნითი სახით.

სამაგისტრო პროგრამაში, არა მხოლოდ სამაგისტრო ნაშრომის შესრულებისას, სასურველია, სტუდენტები მონაწილეობდნენ არა ფაკულტეტის მიერ განხორციელებულ კვლევის პროექტებშიც. მათთვის ეს იქნება უკვე საკუთარი სამაგისტრო კვლევისას ნაშრომის მეთოდოლოგიური ნაწილების განვითარების წინაპირობა.

სამაგისტრო თემების განსაზღვრა ხდება აკადემიური პერსონალისგან შემდგარი გუნდის მიერ, რომლებიც ხელმძღვანელთა გამოცდილებასა და მუშაობის სფეროებზე დაყრდნობით განსაზღვრავენ თემებს, საიდანაც სტუდენტს შეუძლია აირჩიოს და დაავიწროვოს სასურველი თემა სამაგისტრო ნაშრომისთვის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ინტერვიუს შედეგები
- აკადემიური პერსონალის რეზიუმეები

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) o
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები,	✓			

მათთან ინდივიდუალ ური მუშაობა				

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი
➢ პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია; ➢ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო- კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას; ➢ პროგრამის ხელმძღვანელს აქვს პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში; ➢ პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში მოქმედებს პერსონალის მართვისა პოლიტიკის და ეფექტიანობის ერთიანი წესი, რომელიც ადგენს მაღალკვალიფიციური და პრაქტიკული გამოცდილების მქონე პერსონალის მოზიდვისა და შენარჩუნების მექანიზმებს.

საზოგადოებასთან ურთიერთობის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულ აკადემიურ პერსონალს აქვს პროგრამისთვის აუცილებელი ყველა კვალიფიკაცია, რაც დასტურდება ბოლო 5 წლის განმავლობაში მათ მიერ შესრულებული ნაშრომებითა და პრაქტიკული გამოცდილებით. აკადემიური პერსონალი ბიუჯეტის შესაძლებლობის ფარგლებში ჩართულია საერთაშორისო დარგობრივ კონფერენციებსა და მასტერ კლასებში. როგორც აფილირებულ, ასევე მოწვეულ პროფესორებთან შეხვედრის დროს გამოიკვეთა, პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე, ქართულ ენაზე ლიტერატურის სიმწირისდა მიუხედავად, ისინი მაქსიმალურად ცდილობენ სტუდენტებს გაუზიარონ სახელმწიფო ენაზე როგორც საკუთარი ნაშრომები (რომლებიც ეფუძნება მათ მიერ პრაქტიკაში მიღებული გამოცდილებას), ასევე უთარგმნონ საერთაშორისო მსხვილი კომპანიების საუკეთესო ე.გ „ქეისები“. პროფესორებთან შეხვედრის დროს გამოიკვეთა მათი მზაობა და მაღალი ენთუზიაზმი ჩაერთონ პროგრამის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით არსებული პროგრამის განვითარებაში.

რაც შეეხება პროგრამის ხელმძღვანელს, მას გააჩნია პროგრამის შემუშავება/განვითარებისთვის აუცილებელი შესაბამისი უნარები, ცოდნა და გამოცდილება. პროგრამის ხელმძღვანელი მაქსიმალურად ცდილობს ჩაერთოს პროგრამის ყველა ეტაპზე, იგი მყისიერად რეაგირებს სტუდენტების ნებისმიერ ინიციატივასა თუ პრობლემაზე. ამის დასტურია სტუდენტებთან შეხვედრის დროს გამოვლენილი სტუდენტების დამოკიდებულება ხელმძღვანელის მიმართ, მათ დაასახელეს არაერთი ფაქტი, თუ როგორ მოხდა პროგრამის განვითარება/დახვეწა მათი კონკრეტული იდეების წარდგენის შემდგომ.

პროგრამის ხელმძღვანელი, გარდა აკადემიურ სივრცეში საქმიანობისა, პრაქტიკულ საქმიანობასაც აქტიურად ეწევა, მას გარდა პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი თეორიული ცოდნისა, აქვს პრაქტიკული

გამოცდილება და, შესაბამისად, უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში; პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და მათი დატვირთვა თანხვედრაშია პროგრამის ფარგლებში შემუშავებულ აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიურ მოთხოვნებთან და უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო- კვლევითი/შემოქმედებითი/ თუ პედაგოგიური საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების შესრულებას. აკადემიურ/ სამეცნიერო და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას; პერსონალის რიგ წევრებთან გასუბრებით დასტურდება, რომ აკადემიური/მოწვეული პერსონალი ენთუზიაზმით ზრუნავს საგნებზე, რომლებსაც ასწავლიან. გაცნობიერებული აქვთ სხვადასხვა მიდგომები სწავლისადმი და ხელს უწყობენ პროგრამის განხორციელებას. ინტერვიუს სესია მოიცავდა აკადემიური პერსონალის ჩართულობის საკითხებს პროგრამის შემუშავებასა და განხორციელებაში; შეფასების სისტემას; სამეცნიერო კომპონენტს, სწავლების მეთოდებს და სხვ. ამგვარად, ინტერვიუს სესიისა და CV-ების თანახმად, უნივერსიტეტი პროგრამას უზრუნველყოფს კომპეტენტური კვალიფიციური და გამოცდილი აკადემიური პერსონალით. პროგრამის სტუდენტები, გარდა აკადემიური პერსონალისა, უზრუნველყოფილები არიან შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით. პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ პერსონალთან, საზოგადოებასთან ურთიერთობის პროგრამის დარგის სტუდენტებთან, ადმინისტრაციასა და დამხმარე პერსონალთან გასაუბრებამ ცხადყო, რომ სასწავლო პროცესი ერთიანი მუშა რეჟიმია, რომელიც სრულიად ორგანიზებულად მიმართულია აკადემიურ შედეგზე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ▪ თვითშეფასების ანგარიში ▪ პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალის პირადი საქმეები ▪ სასწავლო და სამეცნიერო პერსონალის დებულება ▪ სამსახურის სამუშაოს აღწერები

- ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტებისა და პერსონალის დაგეგმვის მეთოდოლოგია
- უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში
- ინტერვიუ: კურსდამთავრებულებთან, სტუდენტებთან და პროფესორებთან
- აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

პროგრამის განვითარებისთვის რჩევები

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

აღნიშნულმა პროგრამამ აკრედიტაცია მიიღო 2015 წელს. ბოლო 4 წლის განმავლობაში ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, ასევე ამ პერიოდის განმავლობაში მიღებულ საკანონმდებლო აქტებთან შესაბამისობაში მოსვლის მიზნით პროგრამამ განიცადა გარკვეული ორგანიზაციული და აკადემიური ცვლილებები, კერძოდ:

- სტუ-ს აკადემიური საბჭოს 2016 წლის 16 მაისის №19/87 დადგენილებით, ბიზნეს ინჟინერინგის ფაკულტეტის რეორგანიზაციის შედეგად, ჩამოყალიბდა საინჟინრო ეკონომიკის, მედია ტექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი. შესაბამისად, შეიცვალა ფაკულტეტის დასახელება, კოდი (07-ს ნაცვლად გახდა 12).
- 2019 წელს საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება დაკორექტირდა და გრამატიკულად გაიმართა, მას „საზოგადოებრივი ურთიერთობები“-ის ნაცვლად დაერქვა „საზოგადოებასთან ურთიერთობა“.
- დარგში საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობისთვის პროგრამის გაუმჯობესებისთვის სილაბუსში მოხდა შემდეგი ცვლილებები:

- სასწავლო კურსს „რეკლამის ფსიქოლოგია“ გადაერქვა „რეკლამა და პრომოცია“, რადგან კურსში დაემატა კრეატიული რეკლამის შექმნა/დაორგანიზების მეთოდები.
- სასწავლო კურსს „ HR და პიარი“ დაემატა სოციალური პასუხისმგებლობის საკითხებიც.
- სასწავლო კურსს „ბიზნეს ურთიერთობებს“ დაერქვა „მოლაპარაკების წარმოება“, რადგან დაემატა პოლიტიკური მიმართულებით მოლაპარაკების ხელოვნება.
- პროგრამას დაემატა სამი ახალი სასწავლო კურსი: „პიარ კამპანიების დაგეგმვა და მართვა“, „ბრენდის მართვა“ , „სარეკლამო დიზაინი“.
- არჩევით სასწავლო კურსებში გადავიდა: „მედიაპუბლიცისტიკა საზოგადოებასთან ურთიერთობის ფორმა“, „მოლაპარაკების წარმოება“, „პოლემიკური ოსტატობა“.
- არჩევით საგნებს დაემატა: ინგლისურენოვანი სასწავლო კურსი „რეკლამის ფსიქოლოგია“, ინტერნეტ მარკეტინგი.

- ბოლო 3 წლის განმავლობაში სტუდენტებს მიეცათ შესაძლებლობა მიეღოთ მონაწილეობა საერთაშორისო გაცვლით პროგრამებსა და კონფერენციებში.

დამსაქმებლებთან გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში სტუდენტებისთვის შესაძლებელი გახდა თეორიული ცოდნის გაღრმავება პრაქტიკაში.

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება
➢ დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს; ➢ უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალის კომპეტენციების შეფასებას და მათი აკადემიური მუშაობის შედეგების ანალიზს. შეფასება ხორციელდება როგორც სტუდენტებში ე.გ კმაყოფილების კვლევებით, ასევე პროფესორების სამეცნიერო კვლევებში მონაწილეობით, მათ მიერ გამოქვეყნებული სტატიებით, ქართულ ენაზე სტუდენტებისათვის სასწავლო მასალების ამონარიდების ხარისხის შემოწმებით და საერთაშორისო კონფერენციებში პროფესორების მონაწილეობის გზით. პროგრამის ადმინისტრაცია ბიუჯეტის ფარგლებში ცდილობს აკადემიური პერსონალის წახალისებას, თუნდაც კონფერენციების ხარჯების ნაწილობრივი ფინანსირების გზით. უნივერსიტეტი უზრუნველყოფს აკადემიური პერსონალის მასტერ კლასებსა და კვალიფიკაციის ასამაღლებელ სხვადასხვა ტრეინინგებში მონაწილოების როგორც საორგანიზაციო ასევე ფინანსურ ხელშეწყობას. სტუდენტების მიერ ხდება სასწავლო კურსის სწავლებით კმაყოფილების შეფასება, აღნიშნული მონაცემები გროვდება და მუშავდება უნივერსიტეტის მიერ, ხდება უკუკავშირი - ლექტორებისთვის შეფასებათა გაცნობის და უკუკავშირის მიღების ელექტრონული სისტემის დანერგვა. თუმცა აქვე უნდა ითქვას, რომ სასურველია გააქტიურდეს სამეცნიერო კვლევით პროექტებში აკადემიური/ მოწვული პერსონალის ჩართვა უნივერსიტეტის ფინანსური ფინანსური რესურსის ფარგლებში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ▪ თვითშეფასების ანგარიში

- ინტერვიუები: აკრედიტაციის თვითშეფასების გუნდთან, პროგრამის აკადემიურ პერსონალთან
- პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალის პირადი საქმეები
- უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში
- სასწავლო და სამეცნიერო პერსონალის დებულება
- აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

რეკომენდაციები:

- გააქტიურდეს სამეცნიერო კვლევით პროექტებში აკადემიური/ მოწვეული პერსონალის ჩართვა , მითუმეტეს რომ უნივერისტეტი ამის სრულ შესაძლებლობას იძლევა.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

ხარისხის სამსახურთან შეხვედრის დროს გამოიკვეთა რომ შიდა გამოკითხვები, და ასევე კვლევები ძირითადად ტარდება არაციფრული მეთოდით, კერძოდ, ინტერვიუერებს ურიგდებათ ანკეტები და ფურცელზე ხდება პასუხების დაფიქსირება. სასურველია ტექნიკურმა უნივერსიტეტმა იმუშაოს კვლევების თანამედროვე, ციფრულ მეთოდოლოგიაზე. ონლაინ, ელექტრონული გამოკითხვები ხარისხის უზრუნველყოფის განყოფილებას მისცემს საშუალებას უმოკლეს დროში ჩაატაროს ფართო ფორმატის შიდა/გარე კვლევა, რაც თავის მხრივ დაეხმარება ადმინისტრაციას მოახდინოს მყისიერი რეაგირება იქ, სადაც განათლების ხარისხის გაუმჯობესებისთვის საჭიროა ოპერატიული ჩარევა.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

- ადგილზე დათვალიერების შედეგად დადასტურდა, რომ საგანმანათებლო პროგრამა უზრუნველყოფილია საბიბლიოთეკო, მატერიალური და ტექნიკური რესურსით, რომელიც რაოდენობრივად და ხარისხობრივად უზრუნველყოფს პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას. უნივერსიტეტი აღჭურვილია პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ტექნიკური და მატერიალური რესურსებით. პროგრამისთვის აუცილებელი ინვენტარით აღჭურვილია აუდიტორიები, კომპიუტერული კლასები, და ბიბლიოთეკა. ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზში ხელმისაწვდომია როგორც ბეჭდვური ასევე ელექტრონული წიგნების ფონდი შესაბამისი ელექტრონული ბაზით, და ელექტრონული კატალოგით. აუდიტორიები განკუთვნილია, როგორც მცირე ისე ფართე ჯგუფებთან სამუშაოდ. სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა მიიღოთ კურსის სილაბუსში მოცემული ყველა ლიტერატურა დისტანციურად, ელექტრონულ ფორმატში.
- უნივერსიტეტის შენობა პასუხობს უმაღლესი სასწავლებლისთვის დადგენილ მოთხოვნებს, სრულიად დაცულია უსაფრთხოების, სანიტარულ - ჰიგიენური და სხვა ნორმები.
- ბიბლიოთეკის ფონდი (როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონულ მატარებლებზე არსებული) შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების სილაბუსებში მითითებულ ლიტერატურას. ასევე, სტუდენტებისთვის

ხელმისაწვდომია უახლესი სამეცნიერო პერიოდული გამოცემები, საერთაშორისო ელექტრონული საბიბლიოთეკო ბაზები, რომლებიც საშუალებას აძლევს მათ გაეცნონ შესაბამისი მიმართულების/დარგის უახლეს სამეცნიერო მონაცემებს პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად.

- კომპიუტერული ბაზა - კომპიუტერული კლასების კომპიუტერებში ჩატვირთულია ვინდოუსის საოფისე პროგრამები და ასევე ყველა ის პროგრამა, რომელიც მასალების დასამუშავებლად არის განსაზღვრული.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში
- საუმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში
- უნივერსიტეტის ელექტრონული რესურსებისა და ბიბლიოთეკის დათვალიერება და შემოწმება შერჩევითი მეთოდით
- აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა
- ინტერვიუ პრორრამის ხელმძვანელთან, სამაგისტროების ხელმძღვანელებთან
- ინტერვიუ სტუდენტებთან.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

სტუდენტებთან შეხვედრამ აჩვენა რომ პროგრამაზე, გამოცდებზე, სიახლეებზე თუ სხვა რაიმე სახეობის ინფორმაციის მიმოცვლისთვის მათსა და უნივერსიტეტს შორის ძირითადი საკომუნიკაციო არხი არის სოციალური ქსელი „ფეისბუკი“. სასურველია დაინერგოს სტუდენტთა ცოდნის შეფასებისა და სწავლების ორგანიზების ელექტრონული სისტემა. ელექტრონული სისტემა საშუალებას მისცემს ადმინისტრაციას აკონტროლოს სტუდენტთა აკადემიური მოსწრება, ხოლო სტუდენტებს მიაწვდის ინფორმაციას შეფასებებისა და საგანმანათლებლო პროცესის შესახებ. სტუდენტებისთვის სისტემაშივე მოხდება სიახლეების, ღონისძიებების, დასაქმების პროგრამებისა თუ სხვა მნიშვნელოვანი ინფორმაციის გაზიარება, მათ შორის ხარისხის კვლევების ანკეტების დაგზავნა. ელექტრონული

სისტემა უზრუნველყოფს ინფორმაციის საჯაროობას და ხელმისაწვდომობას, და გაზრდის უნივერსიტეტის საინფორმაციო მოქნილობას. არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა -
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა
პროგრამის/ ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ▪ აკადემიურ და ადმინისტრაციულ პერსონალთან შეხვედრამ აჩვენა უმრავლესობის კმაყოფილება პროგრამის საბიუჯეტო პოლიტიკით. ▪ პროგრამა დინამიურად განვითარებადია. არსებული მდგომარეობით ის თავის თავს ფინანსურად ინახავს და უნივერსიტეტს უტოვებს 70962 ლარს შემოსავალის სახით. ▪ პროგრამის ფინანსური რესურსი მდგრადია და ამას უზრუნველყოფს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიუჯეტი
მტკიცებულებები/ინდიკატორები o კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	✓			

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველეყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უნივერსიტეტში მუშაობს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, რომელიც მიზნად ისახავს სწავლებისა და კვლევის ხარისხის ამაღლებას, ხარისხის განვითარების შესაძლებლობების გაუმჯობესებას, მოქმედი სწავლების ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის დახვეწას. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მუშაობის საქმიანობა იგეგმება მუშაობის საერთო PDCA პრინციპების შესაბამისად, P (plan) - დაგეგმვა; D (do) განხორციელება; C (check) - შემოწმება; A (act) - რეაგირება. PDCA პრინციპების შესაბამისად, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური თავის მხრივ განსაზღვრავს უნივერსიტეტის საქმიანობის შესამოწმებელ და შესაფასებელ ასპექტებს, შემოწმების თანამიმდევრობას, თავად ამოწმებს და შემოწმების მიზნით ქმნის შესაბამისი კომპეტენციების მქონე შემმოწმებელთა ჯგუფს, შემოწმების საფუძველზე აანალიზებს მიღებულ შედეგებს, შედეგების ანალიზის საფუძველზე შეიმუშავებს რეკომენდაციებს სასწავლო და სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში გამოვლენილი ნაკლოვანებების აღმოფხვრისა და გაუმჯობესებისათვის. აღნიშნული მოიცავს სასწავლო პროცესის მონიტორინგს, საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული კომპონენტების სასწავლო კურსებით გაწერილი სასწავლო აქტივობების განხორციელების, მათი შინაარსისა და საჭირო მატერიალური რესურის შემოწმებას, სტუდენტთა აკადემიური მოსწრების პერიოდულ მონიტორინგს, შესაბამისი ადამიანური რესურსის შეფასებასა და გაუმჯობესებას. საზოგადოებასთან ურთიერთობის სამაგისტრო სასწავლო პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს ხარისხის უზრუნველეყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად. პროგრამაში ჩართული პერსონალი პროგრამასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღებისას ითვალისწინებს ხარისხის შეფასების შედეგებს; პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის შედგენაში ჩართულია როგორც აკადემიური, ასევე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები ▪ თვითშეფასების ანგარიში; ▪ ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები; ▪ ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები:წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლების ჩართულობა პროგრამის დაგეგმვის, განხორციელების, შემოწმებისა და რეაგირების ეტაპებზე.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საზოგადოებასტან ურთიერთობის სამაგისტრო სასწავლო პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს. პროგრამამ აკრედიტაცია გაიარა 2015 წელს და საანგარიშო პერიოდში სრულად იქნა გაზიარებული და გათვალიწინებულ აკრედიტაციის ექსპერტთა რეკომენდაციები. პროგრამა შესაბამისობაშია მოყვანილი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ახალ სტანდარტებთან და განახლებულ ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ➢თვითშეფასების ანგარიში ➢გარე შეფასების შედეგები და განხორციელებული ცვლილებები ➢ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- ✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან.

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საზოგადოებასთან ურთიერთობის სამაგისტრო სასწავლო პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგების ანალიზის საფუძველზე ხდება პროგრამის მოდიფიცირება. ხარისხის სამსახურის მიერ, სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას, წინასწარ განსაზღვრული შეფასების ფორმის შესაბამისად ხორციელდება აკადემიური და მოწვეული პერსონალის სწავლების შეფასება ლექციებზე დასწრების საშუალებით, რაც ემსახურება სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას. აღნიშნულის შესახებ სასწავლო წლის დასაწყისში ინფორმირებული არიან პროფესორ/მაწავლებლები. ხდება შეფასების შედეგების ანალიზი და რეკომენდაციების გაცნობა პროფესორ/მასწავლებლებისათვის.

სასწავლო კურსის დახვეწისა და გაუმჯობესების მიზნით, ყოველი სემესტრის ბოლოს სტუდენტები კითხვარების მეშვეობით აფასებენ სასწავლო კურსებს და კურსის ლექტორებს. ხდება შედეგების დამუშავება, რეკომენდაციების შემუშავება და საჭიროების შემთხვევაში სასწავლო კურსის სილაბუსის მოდიფიცირება. საზოგადოებასთან ურთიერთობის სამაგისტრო პროგრამის შემუშავებისას, თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით მოხდა შედარება საქართველოს და უცხოური უნივერსიტეტების ანალოგიურ პროგრამებთან და გათვალისწინებულია საუკეთესო პრაქტიკა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ➢ თვითშეფასების ანგარიში; ➢ პროგრამის მონიტორინგისა და პერიოდული შეფასების შედეგები და ამ შედეგების გამოყენება; ➢ სასწავლო კურსის შეფასების მიზნით განხორციელებული აქტივობები და ცვლილებები; ➢ სტუდენტების, კურსდამთავრებულების და დამსაქმებლების გამოკითხვა; o ➢ პერსონალის CV-ები.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის უცხოელ პარტნიორებთან პროგრამის დაახლოება და მათი კურუკულუმების შესწავლა არა მარტო დისტანციურად, არამედ უშუალო კონტაქტის მეშვეობითაც.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	✓			

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:

სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება:

საზოგადოებასთან ურთიერთობის სამაგისტრო პროგრამა

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 54

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	☑			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		☑		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	☑			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	☑			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	☑			

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

ლელა ფირალიშვილი

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის

ქეთევან ქავთარაძე

ნინო სიხარულიძე